



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080170391887319

№ 1852

10 / აპრილი / 2019 წ.

შპს „ალგეთის“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 18 მარტს წარმოდგენილ იქნა შპს „ალგეთის“ (ს/ნ: 234159022) დოკუმენტაცია (რეგისტრაციის № 2966), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში დარეგისტრირება. შპს „ალგეთმა“ 2019 წლის 2 და 5 აპრილს წარმოადგინა 2019 წლის 1 და 4 აპრილის №48 და № 49 დაბუსტებული მომართვები (რეგისტრაციის № 3627 და № 3760), რომლითაც მიმწოდებელმა გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2019 წლის 29 მარტის №1286 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაბუსტებული მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. შპს „ალგეთი“ (ს/ნ: 234159022) 2019 წლის 11 აპრილს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



ლევან რაზმაძე